საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძე* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	**68**	**100**

თემურ გოგოხია

29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ გოგოხია

2024 წლის 29 აპრილი, **ქ. თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თამარ ალფაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

,,საბჭოს" 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

,,საბჭოს" 2024 წლის 22 თებერვლის № 1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე (შემდგომში - ,,კანდიდატი").

,,საბჭოს" შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია ,,კანდიდატის" შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,კანონის" 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, ,,საბჭომ" ჩაატარა ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი", როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

„კანდიდატი“ 44 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 24 წელზე მეტია, კერძოდ:

- 2000-2005 წლებში იყო სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);

- 2005-2007 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე - მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;

- 2006-2009 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში;

-2009-2015 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში;

- 2016-2023 წლებში იყო პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში;

-2023 წლიდან დღემდე არის კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

-2022 წლიდან დღემდე არის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი თსუ-ში.

➢ „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, დამატებით გამოარჩევენ კანდიდატის თვისებებს: თავისუფალი აზროვნების უნარს, დამოუკიდებლობას, პრინციპულობას, კომუნიკაბელურობას, სამართლიანობის გამძაფრებულ აღქმას, ლიდერულ თვისებებსა და მისწაფებებს.

➢ „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე- ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

➢ ,,კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ,,კანდიდატს" ეკუთვნის მიწის ნაკვეთი 2849 $მ^2$, მდებარე ვანის რაიონის სოფელი ფერეთაში. უმრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია, თუმცა - სტატუსი შეჩერებულია.

➢ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატი" 15 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. ასევე - 7 შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

➢ ,,კანდიდატი" მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში. კერძოდ:

1) მოსარჩელე იყო სს ,,ბანკი რესპუბლიკა", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა; ფულადი ვალდებულების შესრულება, თბილისის საქალაქო სასამართლო;

2) მოსარჩელე იყო სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ფულადი თანხის დაკისრება; თბილისის საქალაქო სასამართლო.

➢ ასევე - ,,კანდიდატი" დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებულ საქმეზე ერთი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი.

➢ ,,კანდიდატმა" წარმოადგინა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

- „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება";

- „სამართლისა და მორალის ევოლუცია";

- „ჰუმანური სამართალი";

- ,,ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება".

,,კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: "ადამიანის საერთაშორისო უფლებები"; The Universite Catholique de Louvain; JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი, ტრენინგი და ა.შ.).

,,კანდიდატს", საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები/წიგნები:

- „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები"; თსუ, 2006;

- „მედია სამართალი"; 2008 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);

- „შესავალი სამართალმცოდნეობაში"; 2009;

- „სამართალმცოდნეობის შესავალი" (მეორე გამოცემა); 2015 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);

- რეფერირებად ჟურნალში: სამართლებრივი სტატიები „სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2019წ, მე-3 ნომერი.

➢ ,,კანდიდატს" არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის, პროკურატურის და ადვოკატურის საკვალიფიკაციო გამოცდა.
,,კანდიდატი" ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

,,კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

,,კანდიდატს" საჯარო მოსმენისას ,,საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ,,კანდიდატმა" განაცხადა სამართლის ნებისმიერი დარგიდან დასმული შეკითხვებისათვის ეპასუხა, შეკითხვების ძირითად ნაწილზე მის მიერ გაცემული პასუხები არ იყო თანმიმდევრული და სრულყოფილი. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას შეკითხვაზე - თუ რა არის ბრალი, მან ზოგადი განმარტება გააკეთა, რომ ბრალს აქვს ორი ფორმა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, არ გასცა პასუხი შეკითხვებს სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესახებ, ასევე - ამნისტიასა და შეწყალებას შორის განსხვავებაზე, სრულად ვერ ჩამოაყალიბა ნორმატიული აქტების იერარქია, ასევე - გაუჭირდა საუბარი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კომპონენტებზე, ვერ უპასუხა შეკითხვას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების შესახებ და ა.შ.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის (არასამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“, გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“ და დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“ - მოითხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

„კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 22 სამართალდარღვევის ჩადენა ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება.

➢ თუმცა, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

➢ „კანდიდატი“ არის პრინციპული, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, რის გამოც მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმვე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

„კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, მივიჩნევ, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

➢ შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

„კანდიდატს“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

➢ შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, გავაკეთე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

„კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

➢ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის მინიმალური დონე. შესაბამისად, „კანდიდატი“, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, **შევაფასე 14 ქულით.**

➢ „კანდიდატს“ ძირითადად გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და აკადემიური საქმიანობის სფეროში მუშაობის გარკვეული პროფესიული გამოცდილება. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით

განსაზღვრული განმარტებებით) ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 16 ქულით.

➢ ,,კანდიდატი" ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს. კონკურსის ფარგლებში მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაანალიზების შედეგად უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად, აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი", ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 12 ქულით.

➢ ,,კანდიდატი" ძირითადად პუნქტუალურია, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. თუმცა, იმის გამო, რომ მას არ აქვს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება, მიჭირს დავასკვნა, რომ მას აქვს სათანადო მენეჯერული უნარები - იმუშაოს სტრესულ სიტუაციაში და გაუმკლავდეს მოსამართლის რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი", ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 13 ქულით.

➢ ,,კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ,,კანდიდატს" არ აქვს ჩაბარებული/გავლილი არც ერთი პროფესიული (მოსამართლეობის, პროკურატურის, ადვოკატის) გამოცდა/ტესტირება. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი", ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 9 ქულით.

➢ ,,კანდიდატი" იშვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად. თუმცა, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე

მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა **შეფასდეს 4 ქულით.**

➢ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ,,კანდიდატს" **ვანიჭებ 68 ქულას.**

სახელი, გვარი: თემურ გოგოხია

ხელმოწერა:

თარიღი: 29.04.2024